ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

7 მაისი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 82 (10 495) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხმარებიან დაზარალებულებს

● საფეხბურთო კლუბ „იბერიის“ ფეხბურთელებმა და კლუბის თანამშრომლებმა ხელფასიდან 3710 მანეთი გაიღეს სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დასახმარებლად.

● **კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა მურმან ქურიძემ მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში შეიტანა პირადი დანაზოგი 500 მანეთი.**

● „სპორტლოტოს“ სამმართველომ 10 ათასი მანეთი გადარიცხა სპეციალურ ანგარიშზე, თანამშრომლებმა კი 2500 მანეთი საკუთარი თანხა შეიტანეს დაზარალებულთა დახმარების ანგარიშზე.



## სამბოს სამყაროში ბუნტი

**ევროპის ქვეყნები პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ კონტინენტის პირველობაზე სპორტის ამ სახეობაში გამარჯვება ყოველთვის საბჭოთა კავშირს რჩება. ათსავე წონითს კატეგორიაში მისი წარმომადგენლები ადიან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

**— მოთმინების ფიალა აივსო, ევროპის ჩემპიონატი ძალზე უინტერესო გახდა. ამიტომ, ჩვენ კონტინენტის ალტერნატიულ პირველობას ჩავატარებთ — განაცხადა იტალიის ფედერაციამ თავისი და საფრანგეთის სახელით.**

**იტალიისა** და საფრანგეთის ფედერაციებს მხარი აუბეს სხვა ქვეყნებმაც. გადაწყდა, რომ 1991 წლის 22-25 ივნისს მილანში ჩატარდეს ევროპის ალტერნატიული პირველობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი იტალიის, და საფრანგეთის გარდა, უკვე გამოთქვეს ინგლისის, ესპანეთის, შვეციის, მალტის, ზოგიერთი სხვა ქვეყნის ფედერაციებმა. ცალკე არიან მიწვეული რუსეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

— საქართველოს რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდებიდან პირველად ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ევროპის სარბიელზე გამოვიდეთ საქართველოს სახელით, რესპუბლიკის დროშითა და ჰიმნით, — გვითხრა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ნოდარ ექვთიმიშვილმა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სამბოს საერთაშორისო სამყაროში და რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მილანში საქართველოს სპორტსმენთა მიწვევაში. დავძენთ, რომ, ევროპის წლევანდელი პირველობა დაგეგმილია ისრაელში. იქ საბჭოთა ნაკრები გაემგზავრა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რამდენი ქვეყნის გუნდები ჩავლენ სასპარეზოდ. მოსალოდნელია, ტრადიციული პირველობა ჩაიშალოს.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები ემზადება. დრო ცოტა დარჩა, გვაწუხებს ორგანიზაციული საკითხები, მთავარი მაინც უცხოური ვალუტაა — სულ მცირე, სამი ათასი დოლარია საჭირო, რომ ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა მილანში დამოუკიდებელი სტატუსით იასპარეზოს. ცხადია, ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

გთხოვთ ყველას, ვისაც დახმარება და ვალუტის გაღება შეუძლია, შემოგვეხმიანოს. ნაკრები სპონსორის წარმომადგენლით გაემგზავრება შეჯიბრებაზე. შეგიძლიათ დაგვირეკოთ: 99-56-14.

### როგორ გაქვთ საქმე, ბალტიისპირელებო?

## პრეზიდენტი ყოყმანობს

**გთავაზობთ „ფიდე-ს ბიულეტენში“ დაბეჭდილ წერილს, რომელშიც ლაპარაკია ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციაში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ორგანიზაციების გაწევრიანების პრობლემის შესახებ.**

ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საჭადრაკო ფედერაციებმა მოგვმართეს თხოვნით ფიდე-ს წევრებად მათი აღდგენის თაობაზე. შეიქმნა ძლიერი ლობი ფიდე-ს პრეზიდენტზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა მას გამოეყენებინა თავისი აღმასრულებელი უფლებამოსილებანი და დაეშვა ბალტიისპირეთის სამი ნაკრები საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. კამპომანესი შეხვდა მარკ ტარმაკს, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოფიციალურ წარმომადგენელს და გამოხატა მათ მიერ არჩეული კურსის მხარდაჭერა.

კამპომანესმა განაცხადა:

— მინდა გაუწყოთ, ლიტვის, ესტონეთის და ლატვიის მიმართვის შესახებ, რომელთაც ფიდე-ს წევრებად აღდგენა სურთ. ეს რთული საკითხი გენერალური ასამბლეის სხდომაზე უნდა გადაწყდეს. მე მთხოვეს, გამომეყენებინა ჩემი საპრეზიდენტო უფლებები, დამესწრო გადაწყვეტილების მიღებისათვის და ოლიმპიადაზე დამეშვა ლიტვის, ესტონეთისა და ლატვიის გუნდები — ან სრულუფლებიან, ან კონკურსგარეშე მონაწილეებად. მე ვიცი, რომ მათ დიდი დაბრკოლებები გადალახეს, გუნდები ჩამოვიდნენ იმის იმედით, რომ შეჯიბრებაში მიიღებდნენ მონაწილეობას, თუმცა, ოფიციალური მიწვევა არ მიუღიათ. მე ისევე, როგორც ბევრი სხვა, მათ, მთლიანად ვუჭერ მხარს, მაგრამ მე, უპირველეს ყოვლისა, ფიდე-ს დებულება უნდა დავიცვა და სინანულის გრძნობით უნდა განვაცხადო, რომ ვერ დავაკმაყოფილებ მათ თხოვნას.

ჩვენ ამ საკითხს გენერალურ ასამბლეაზე განვიხილავთ და ლიტვის, ესტონეთისა და ლატვიის გუნდებს ყველანაირად დავეხმარებით დასახული კურსის განხორციელებაში ჩვენი კანონების ფარგლებში.

მარკ ტარმაკი გენერალური ასამბლეის წინ ფიდე-ს ცენტრალურ კომიტეტში მიიწვიეს. საფუძვლიანი მსჯელობის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ასამბლეამ მიიღო დადგენილება ფიდე-ს წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რის საფუძველზეც დაკმაყოფილდება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების თხოვნა. ოღონდ უნდა შესრულდეს ერთი პირობა: საბჭოთა კავშირის ფედერაციამ ფიდე-ს წერილობით უნდა შეატყობინოს, რომ საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

## ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

## ქალები უკეთ თამაშობდნენ

**პირველი ტური. გაფრინდაშვილი — სტურუა 1:0, არახამია — ზაიჩიკი 0,5:0,5, გიორგაძე — ჯანჭლავა 0,5:0,5, ჩიბურდანიძე — ეფიმოვი 0,5:0,5, გურიელი — იოსელიანის და გურგენიძე — კახიანის პარტიები გადაიდო.**

უკანასკნელ მომენტში შეჯიბრების მონაწილეთა რიცხვი თოთხმეტიდან თორმეტამდე შემცირდა. ამან, რა თქმა უნდა, მოჭადრაკეთა სატურნირო ტაქტიკა გადასინჯა. ახლა ასპარეზობა ხანმოკლეთა რიცხვს მიეკუთვნება და თუ პატივმოყვარე ზრახვები გაქვს, თავიდანვე მთელი ძალით უნდა ჩაერთო თამაშში. ეტყობა, ერთი მხრივ, კარგიც არის, რომ ზურაბ აზმაიფარაშვილი ტურნირში არ მონაწილეობს. რატომ? იმიტომ, რომ ახლა ვერავითარი ექსპერტი ვერ გეტყვით, ვინ არის შეჯიბრების მთავარი ფავორიტი — ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ძალიან კარგია, რომ ტურნირის ორგანიზატორებმა ამჟამად ესოდენ გავრცელებული დროის ექვსსაათიანი კონტროლის ნაცვლად „ძველი“, ხუთსაათიანი აირჩიეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხუთსაათიანი კონტროლი შემოქმედებითი თამაშის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

პირველ ტურში მოხდა ისე, რომ თავისებური „მატჩი“ მოეწყო „ოთხ დაფაზე“ ქალებსა და ვაჟებს შორის და ამ მატჩში ქალები უკეთ თამაშობდნენ.

ეტყობა, სტურუა კარგად არ იცნობს იმ სადებიუტო სქემას, რომელიც თეთრებით გაფრინდაშვილმა გამოიყენა. შავების ლაზიერი დაფის კიდეზე გაირიყა, ხოლო მხედარმა მთელ დაფაზე ვერ მონახა საიმედო უჯრა. მეექვსე ჰორიზონტალზე სოლივით შეჭრილი თეთრი პაიკი სტურუას ფიგურებს კოორდინაციის საშუალებას არ აძლევდა, მალე შავებმა დაკარგეს ლაზიერი ორ მსუბუქ ფიგურაში და შეწყვიტეს წინააღმდეგობა. ასე კარგად დაიწყო ნონამ თავისი საიუბილეო ტურნირი.

მსოფლიო ჩემპიონმა ჩიბურდანიძემ შუა თამაშში დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო ეფიმოვთან, მაგრამ შემდეგ შეფერხდა და შავებმა მოახერხეს მდგომარეობის გათანაბრება. ამას მალე ყაიმზე შეთანხმება მოჰყვა. არახამია-ზაიჩიკის შეხვედრა ცხარე ბრძოლით გამოირჩეოდა, მაგრამ აქ ბოლოს სიმწვავე დაცხრა. გურგენიძემ ენდშპილთან მიახლოებისას პაიკის საინტე-

იხ. მე-4 გვ.




ა. კოტორაშვილის ფოტოები.

## მრთად, მაგრამ სხვა გზით

**იცით, რომ** ჩვენი სპორტსმენები, რომლებიც აღარ მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში, სხვადასხვა რესპუბლიკურ ტურნირებში ასპარეზობენ. ახლახან „ლოკომოტივის“ ჭიდაობის სკოლის სამბისტებმა მიწვევა მიიღეს ტალინიდან, სადაც მოეწყო ესტონეთის ღია პირველობა 1973-1974 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. აქ შეკრებილ ბალტიისპირელებს საქართველოს გუნდის გარდა, ეწვივნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის წარმომადგენლებიც.

ჩვენმა სამბისტებმა თავი არ შეირცხვინეს — ოთხმა მათგანმა საპრიზო ადგილი დაიკავა — სამმა — პირველი, ერთმა — მესამე.

პირველობაში გაიმარჯვეს: ქუთაისელმა გიორგი გოჩელაშვილმა (52 კგ), თბილისელებმა: კობა გულიაშვილმა (65) და ვანო არაბულმა (87), მესამე ადგილზე გავიდა ქუთაისელი ლევან ალფაიძე (60).

ამასთან, გიორგი გოჩელაშვილმა დაიმსახურა ტურნირის საუკეთესო მოჭიდავისთვის დაწესებული სპეციალური პრიზიც.

## იტალიელთა „უცნაური“ წინადადება

**მთელი** სპორტული სამყარო თუ არა, 1998 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენდენტი ქალაქები მოუთმენლად ელიან ივნისის დადგომას, როცა ბირმინგემში გაიმართება სოკ-ის მორიგი სესია. იქ გადაწყდება სწორედ, სად ჩატარდება თამაშები-98. სადღეისოდ პრეტენდენტი ქალაქი ექვსია — ხაკა (ესპანეთი), ესტერსუნდი (შვეცია), ნაგანო (იაპონია), სოლტ-ლეიკ-სიტი (აშშ), აოსტა (იტალია) და სოჭი. მათგან ხუთს თუ აქვს გამარჯვების რეალური შანსი, რადგან შავიზღვისპირა საკურორტო ქალაქს ამთავითვე „აუტსაიდერად“ თვლიან — პრეტენდენტობის ფორმალური უფლება მას, ცხადია, კვლავინდებურად აქვს, მაგრამ საბჭოთა კავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო, ძალზე საეჭვოა, სოკ-ის რომელიმე წევრმა მხარი დაუჭიროს სოჭს.

ასეთ სიტუაციაში ძნელია ფავორიტის დასახელება: შეიძლება გაიმარჯოს თითოეულმა, ვთქვათ, იგივე აოსტამ, რომლის ღირსებებზე ბევრი არაფერია ცნობილი. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ბოლო ხანს ოლიმპიურ კონკურსებში, სწორედ ასეთი „იდუმალი“ ქალაქები იმარჯვებენ.

სხვათა შორის, თუ აოსტამ გაიმარჯვა, ამ ქალაქის საინიციატივო კომიტეტს საკმაოდ სენსაციური იდეები აქვს. კერძოდ, სურთ, რომ ზამთრის თამაშებში, რომლის პროგრამა ზაფხულისაზე გაცილებით მცირეა, აოსტამ ჩართოს ასპარეზობები კალათბურთში, ფრენბურთში, კრივსა და ფარიკაობაში. ბევრი ამ აზრს მოულოდნელად მიიჩნევს, მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან ამ სახეობებმა, რომლებსაც ადრე ზაფხულისად თვლიდნენ, კარგა ხანია ჭერქვეშ დაიდო ბინა და წლის ნებისმიერ დროს შეიძლება ასპარეზობების გამართვა.

ამ იდეას სოკ-ი საკმაოდ ცივად შეხვდა — მიიჩნია, რომ კანდიდატი ყურადღების მიპყრობას ცდილობს და ამიტომ აირჩია მსგავსი პროპაგანდისტული ხერხი. იტალიელებს კი მაინც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი: თუ მათ წილად ხვდებათ ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის პატივი, ისინი კვლავ აღძრავენ საკითხს, რათა ზამთრის „ელფერი“ მიანიჭონ ზემოთ დასახელებულ სახეობებს.

# საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტისა და ტყვიის სროლაში ეროვნული ფედერაციის ხელშეკრულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმუში

**ხელშეკრულების ნიმუში ქვეყნდება სპორტული ფედერაციებისათვის იურიდიულად გამართული დოკუმენტის შექმნაში დასახმარებლად**

**საქართველოს** რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი (ქვემოთ მოკლედ მოიხსენიება დეპარტამენტი) მოქმედებს რა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ერთის მხრივ დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის, მეორე მხრივ, ტყვიის სროლაში ეროვნული ფედერაციის (შემდგომში ფედერაცია) პრეზიდენტის სახით დაიდო ხელშეკრულება შემდეგზე:

### I. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სპორტის დეპარტამენტის მიერ უფლებამოსილებათა დელეგირება ფედერაციისადმი, რესპუბლიკაში ტყვიის სროლის განვითარების საერთო ხელმძღვანელობისა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებისათვის.

სპორტის დეპარტამენტი და ფედერაცია ითვალისწინებენ, რომ ფედერაცია არის სახელმწიფო-საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს თავისი წესდების შესაბამისად.

ფედერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გამოიყენება ფედერაციის წესდების შესაბამისად, რესპუბლიკაში ტყვიის სროლის განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად.

### II. მხარეთა ვალდებულებანი

1. დეპარტამენტი იღებს ვალდებულებას:

1.1. სპორტულ სკოლებსა და კოლეჯებში, ოლიმპიური რეზერვების ცენტრებში, კლუბებში, სასწავლებლებში ტყვიის სროლის განვითარებისათვის, თანამედროვე სამეცნიერო-მეთოდური მოთხოვნების შესაბამისად, საზოგადოებებთან და უწყებებთან ერთად, წარმართოს სპორტსმენებთან სასწავლო-საწვრთნო მუშაობა.

1.2. გამოუყოს ფედერაციას ფინანსური სახსრები: ტყვიის სროლაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრების, სპორტსმენ-სტაჟიორების ეკიპირების, სამეცნიერო-მეთოდური და სამედიცინო უზრუნველყოფისა და მომზადებისათვის, საერთაშორისო რესპუბლიკური და სხვა ღონისძიებებისათვის, ხელშეკრულების შესაბამისად.

1.2.1. დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე გადაურიცხოს ფედერაციას საბიუჯეტო სახსრები.

1.3. ხელშეკრულებით ფედერაციაში სამუშაოდ მიავლინოს მწვრთნელები, სპორტსმენ-სტიპენდიანტები (ჩაიწერება რაოდენობა. რედ.)

1.4. განიხილოს ფედერაციის განაცხადები საქართველოს ნაკრებ გუნდებში აქტიური სპორტული მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ გამორჩენილ სპორტსმენებსა და სპეციალისტებზე ფულადი სახსრების გაცემის შესახებ.

1.5. ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაზე მოპოვებული საპრიზო ადგილებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის სპორტსმენებს, მწვრთნელებსა და სხვა სპეციალისტებს გადაუხადოს ფულადი პრემიები, ფედერაციის გამგეობის მიერ დადგენილი წესისა და ოდენობის შესაბამისად.

1.6. ცალკე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იჯარით ფედერაციას საექსპლუატაციოდ გადასცეს დეპარტამენტის დაქვემდებარებაში ან მის ბალანსზე მყოფი შენობა-ნაგებობანი და ძირითადი ფონდები.

1.7. განიხილოს ფედერაციის წარდგინებები, დადგენილი წესით სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის საპატიო და სპორტული წოდებების, აგრეთვე სხვა წოდებებისა და ჯილდოების მინიჭებისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე შუამდგომლობის გაწევის შესახებ.

1.8. ხელი შეუწყოს ფედერაციას ორგანიზაციულ, სამართლებრივ, ეკონომიკურ და მეთოდურ საქმიანობაში, აგრეთვე გაუწიოს კონსულტაცია საერთაშორისო და საგარეოეკონომიკური კავშირების სხვა სფეროში.

1.8.1. დახმარება აღმოუჩინოს ფედერაციას საზღვარგარეთის დელეგაციების მოწვევაში, მიღებაში, საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებაში.

1.8.2. დაეხმაროს ფედერაციას საზღვარგარეთ მივლინებაში გასაგზავნი სპორტული დელეგაციების დოკუმენტების გაფორმებაში.

1.8.3. ფედერაციას კონსულტაცია გაუწიოს საერთაშორისო სპორტული კავშირების საკითხებზე.

1.8.4. ფედერაციის საერთაშორისო კავშირურთიერთობებისათვის გამოიყენება დეპარტამენტის ტექნიკური საშუალებები (ტელეტაიპი, ტელექსი, ტელეფაქსი, ტელეფონი) სათანადო ანაზღაურებით.

1.8.5. დაეხმაროს ფედერაციას სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კავშირის განხორციელებაში, სარეკლამო საქმიანობისა და ტყვიის სროლის პროპაგანდაში.

1.8.6. უზრუნველყოს დეპარტამენტის სამეურნეო რგოლების მომსახურება სპორტული ღონისძიებებისა და ნაკრები გუნდების საჭიროებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე.

1.8.7. ხელი შეუწყოს სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სხვა სპეციალისტებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად სპორტული ფორმით, ფეხსაცმლით და ინვენტარით მომარაგებასა და აღნიშნულ სფეროში მომსახურების უზრუნველყოფაში. დეპარტამენტის მიერ ამ მიზნებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

1.8.8. აღმოუჩინოს დახმარება სპორტულ-ტექნიკური ინვენტარისა და მოწყობილობების, სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენის და წარმოების ორგანიზაციაში, შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით.

1.8.9. დეპარტამენტისა და ფედერაციის ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან და სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებთან ერთად იზრუნოს საქართველოს ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფისა და ფედერაციის სპეციალისტთა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციისათვის.

1.9. მონაწილეობა მიიღოს კომპლექსურ-სამეცნიერო ჯგუფის ფორმირებაში, უზრუნველყოს მისი საქმიანობა საჭირო ფინანსური და ტექნიკური სახსრებით.

1.9.1. ფედერაციის განაცხადის მიხედვით უზრუნველყოს ნაკრები გუნდების სამედიცინო მომსახურეობის ორგანიზაცია.

1.9.2. უზრუნველყოს ფედერაცია, დეპარტამენტის მიერ მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, საჭირო აღდგენითი საშუალებებით, მედიკამენტებით, ინსტრუმენტებით, აპარატურით და სხვა მედიკო-ბიოლოგიური საშუალებებით.

1.9.3. უზრუნველყოს ტყვიის სროლაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრთა საექიმო-საკონსულტაციო დახმარება, საჭიროების შემთხვევაში სპეციალიზირებულ დაწესებულებებში მათი მკურნალობა.

1.9.4. უზრუნველყოს სპორტსმენთა ანტიდოპინგური შემოწმების ჩატარება.

2. ფედერაცია იღებს ვალდებულებას:

2.1. 19... წელს უზრუნველყოს ტყვიის სროლაში შემდეგი შედეგების მიღწევა (ჩაიწერება კონკრეტული ვალდებულებები. რედ).

დეპარტამენტსა და ფედერაციას შორის ხელშეკრულებაში აღნიშნული ვალდებულების პუნქტი ფორმდება ყოველწლიურად.

2.2. უზრუნველყოს თანამედროვე სამეცნიერო-მეთოდური მოთხოვნებისა და დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრების მოცულობის შესაბამისად საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა და სპორტსმენ-სტაჟიორთა მომზადების ორგანიზაცია, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი № 1).

2.3. სპორტსმენთა მომზადებაზე და საქართველოს ნაკრებ გუნდში მიწვეულ სპორტსმენებზე გასცეს საკომპენსაციო ანაზღაურება საზოგადოებებისა და უწყებების მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე.

2.4. ტყვიის სროლის განვითარების მიზნით დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი საფინანსო სახსრების მოცულობის ფარგლებში, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩაატაროს საერთაშორისო და საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებები, საორგანიზაციო და სხვა სახის ღონისძიებები, ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი № 2).

2.4.1. უზრუნველყოს ტყვიის სროლაში მწვრთნელთა, მსაჯთა და სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია. ამ მიზნით, ჩაატაროს კონფერენციები, სემინარები, კურსები და სხვა ღონისძიებები. დადგენილი წესით გამოუშვას კინო და ვიდეო-ფილმები, სასწავლო-მეთოდური და სხვა ხასიათის მასალები; აღმოუჩინოს ორგანიზაციულ-მეთოდური დახმარება ოლიმპიური რეზერვების ცენტრებს, კოლეჯებს, კლუბებს და სასწავლებლებს.

2.5. მოზარდთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებიდან, ოლიმპიური რეზერვების ცენტრებიდან, კოლეჯებიდან, კლუბებიდან მოამზადოს საქართველოს ნაკრები გუნდის სპორტსმენ-სტაჟიორები და წევრები (შეთანხმებული ოდენობით, რედ.).

2.6. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მართვის ადგილობრივ ორგანიზაციებთან, პროფკავშირულ და უწყებრივ ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებთან ურთიერთმოქმედებით ხელი შეუწყოს ახალი კლუბების, ოლიმპიური მომზადების ცენტრების, კოლეჯების და ფიზკულტურული კოლექტივების შექმნას.

2.7. შეიმუშაოს და განახორციელოს აკრძალული დოპინგური და სხვა სახის საშუალებების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური პროგრამა.

2.8. ყოველწლიურად გადარიცხოს დეპარტამენტის ცენტრალიზებულ, სპეციალურ და სავალუტო ანგარიშზე მოგების პროცენტი, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

2.9. დადგენილი წესის შესაბამისად გაწიოს საფინანსო სახსრების ხარჯვა.

2.9.1. არ დაუშვას სპორტის დეპარტამენტის მიერ ნაკრები გუნდების მზადებაზე გამოყოფილი სახსრების სხვა მიზნითა და დანიშნულებით გამოყენება.

2.9.2. შემოწმების (რევიზიის) ჩატარებისათვის წარმოუდგინოს დეპარტამენტს საჭირო საფინანსო დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვასთან.

2.9.3. ყოველწლიურად წარმოუდგინოს სპორტის დეპარტამენტს ანგარიში მის მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის, აგრეთვე მონაცემები ფედერაციის ძირითადი საქმიანობის ბალანსის შესახებ.

2.9.4. ფედერაცია კვარტალურად წარუდგენს ბალანსს დეპარტამენტს გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, არსებული წესის მიხედვით.

2.10. შეასრულოს ფედერაციის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტის ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებები, სპორტის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა და კომერციის სამმართველოს შეუთანხმოს ფედერაციის სახელით დადებული საგარეო-ეკონომიკური კონტრაქტები; დეპარტამენტის შესაბამის სამმართველოს წარუდგინოს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ფედერაციის მიერ დადებული კონტრაქტების ექსპერტიზასთან.

2.11. განახორციელოს სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სხვა სპეციალისტთა სოციალური დაცვის ღონისძიებები, მათ შორის:

2.11.1. გამონახოს სახსრები აქტიური მოღვაწეობის შეწყვეტის შემდეგ გამორჩენილი სპორტსმენებისათვის სტიპენდიების ნაწილის გაცემის ღონისძიებების განსახორციელებლად, მათ შორის, შრომის ანაზღაურების ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

2.11.2. წარადგინოს წინადადებები დეპარტამენტში სპორტსმენების, მწვრთნელების ან მათი ოჯახების წევრებისათვის, დადგენილი წესით, პენსიების დანიშვნის შესახებ.

2.11.3. განახორციელოს სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მსაჯთა დაზღვევის ღონისძიებები, დაზღვევის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე სადაზღვევო მომსახურების სახეობების გამოყენებით.

დროულად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დოკუმენტები მითითებული ხელშეკრულების შესაბამისად, მოთხოვნილი სადაზღვევო თანხის გაცემის შესახებ.

2.11.4. საქართველოს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრებს მკურნალობისათვის გადაუხადოს ერთდროული დახმარება.

2.11.5. ხელი შეუწყოს საქართველოს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრების მიერ საშუალო ან უმაღლესი სპეციალური განათლებისა და პროფესიის მიღებას.

2.11.6. წარადგინოს სპორტსმენები, მწვრთნელები და სხვა სპეციალისტები საპატიო და სპორტული წოდებების, აგრეთვე წახალისებისა და სხვადასხვა სახის ჯილდოების მისანიჭებლად.

2.12. რაციონალურად გამოიყენოს და უზრუნველყოს დეპარტამენტის მიერ ფედერაციაზე იჯარით გადაცემული შენობების, ტრანსპორტის, გამოთვლითი ტექნიკის, ვიდეო-აპარატურის და სხვა სახის ძირითადი სახსრების დაცვა.

2.13. სპორტის დეპარტამენტს წარუდგინოს ინფორმაცია ფედერაციის ხელმძღვანელი და სამუშაო რგოლების (კრედიტების განმკარგულებლის ჩათვლით) შესახებ, ამასთანავე სამი დღის ვადაში აცნობოს დეპარტამენტს ყოველგვარი ცვლილებების შესახებ.

2.14. წარადგინოს 19.. წლის ანგარიში ფედერაციის მუშაობის შესახებ 19... წლის 15 თებერვლამდე.

### III. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხისმგებლები არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ან მის არასრულ (არადამაკმაყოფილებელი, ნაწილობრივი) შესრულებაზე.

ხელშეკრულებების მოთხოვნათა შესრულებას, შეუსრულებლობას ან ნაწილობრივ შესრულებას განსაზღვრავს დეპარტამენტის საექსპერტო კომისია, მის მუშაობაში ფედერაციის ხელმძღვანელობის მონაწილეობით.

ფედერაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დეპარტამენტი აფრთხილებს ფედერაციას, ხოლო გაფრთხილების შემდეგ ფედერაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების ხელმეორედ შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად არღვევს მასთან ხელშეკრულებას, რის შესახებაც აცნობებს ფედერაციას ერთი თვის ვადაში.

მოქმედი კანონმდებლობის ან ფედერაციის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში შესაძლო უხეში დარღვევების შემთხვევაში, დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, რომ დეპარტამენტის დირექტორატის სხდომაზე განხილვის შემდეგ დააყენოს საკითხი ფედერაციის გამგეობის ან ყრილობის წინაშე დამნაშავე პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ.

### IV. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება დადებულია 19... წლის 31 დეკემბრამდე და ძალაშია მისი ორმხრივი ხელმოწერის დღიდან.

### V. ხელშეკრულების დარღვევის ან მასში ცვლილებების პირობები

ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან დაირღვეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით (მეორე მხარის მიერ ამ განზრახვის არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში შეტყობინების პირობით.

ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ან ნორმატიული აქტის მიღების შემთხვევაში, რომლებიც მოითხოვენ დეპარტამენტისა და ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის შეცვლას.

### VI. იურიდიული მისამართი და მხარეთა რეკვიზიტები

ფედერაცია: (უჩვენეთ მისამართი, რედ.).

სპორტის დეპარტამენტი: 380062 ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49-ა, ანგარიში № 370015.

**ფედერაციის მხრიდან (ხელმოწერა)**
**სპორტის დეპარტამენტის მხრიდან — (ხელმოწერა)**

**დანართი № 1.**

## ფედერაციის ხარჯთაღრიცხვა 19... წლისათვის ტყვიის სროლაში

**რესპუბლიკის ეროვნული ნაკრები გუნდის მომზადებისათვის ხარჯთაღრიცხვის მუხლები**

— საქართველოს ტერიტორიაზე სასწავლო-საწვრთნო მუშაობა და ამ მიმართულებით საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების და სტაჟიორების ცენტრალიზებული მომზადება.

— სსრკ ტერიტორიაზე ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილეობა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება.

— საზღვარგარეთ შეჯიბრებებში მონაწილეობა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება.

— სპორტულ საზოგადოებებში და სასპორტო სკოლებში ნაკრები გუნდის წევრების მომზადებაზე დახარჯული თანხის კომპენსაცია.

— ინდივიდუალური და კოლექტიური მოხმარების სპორტული ფორმის, ფეხსაცმლის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენა.

— სამეცნიერო-მეთოდური და სამედიცინო მომსახურება.

(თითოეული მუხლის გასწვრივ გაკეთდება მეორე გრაფა და ჩაიწერება თანხა, რედ.).

**ფედერაციის თავმჯდომარე (ხელმოწერა)**
**ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი (ხელმოწერა).**

**დანართი № 2**

## ფედერაციის ხარჯთაღრიცხვა რესპუბლიკური, საერთაშორისო შეჯიბრებების და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად

**ხარჯთაღრიცხვის მუხლები**

— საქართველოს ტერიტორიაზე რესპუბლიკური და საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება.

— ფედერაციის სპეციალისტთა საზღვარგარეთ გამგზავრება.

— საზღვარგარეთის დელეგაციის მიღება.

— კონფერენციების, სემინარების, თათბირების ჩატარება და მონაწილეობის მიღება.

— ოლიმპიური რეზერვების ცენტრებზე, კოლეჯებზე, სასწავლებლებზე, სასპორტო სკოლებზე ფინანსური დახმარების გაწევა.

— სხვა ხარჯები.

(თითოეული მუხლის გასწვრივ დაისმება გრაფა „დაფინანსების მოცულობა ათას მანეთებში“ და ჩაიწერება თანხა. რედ.).

**შენიშვნა:** № 2 დანართში გათვალისწინებული ხარჯების გარდა „სხვა ხარჯებს“ მიეკუთვნება: მსაჯების თანხები, ეკიპირება, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოშვება, კინო და ვიდეო-ფილმების ჩვენება და სხვ.

**ფედერაციის თავმჯდომარე (ხელმოწერა).**

**პუბლიკაციის სპონსორია „ლელოს“ რედაქცია და სპორტულ ჟურნალისტთა შემოქმედებითი გაერთიანება „ლელო“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# საუკეთესოდ—საუკეთესოთა გარეშე

ყველამ კარგად იცის, წლების მანძილზე საქართველოს ჩემპიონატები მეორეხარისხოვან შეჯიბრებებად ითვლებოდა. საბედნიეროდ, დრო და ვითარება შეიცვალა, რესპუბლიკურმა ასპარეზობებმა კუთვნილი ადგილი დაიკავა. მაგრამ, სამწუხაროდ, შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად შესაფერისი ბაზები თითებზე ჩამოგვეთვლება და ისინიც ხშირად გადატვირთულია.

თავიდანვე ვიტყვით: ბევრ ჩვენს საუკეთესო მოჭიდავეს არ მიუღია მონაწილეობა საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში, არადა, მათი გამოსვლა უდავოდ მეტ ელფერს შესძენდა ასპარეზობას.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის ყვარელში გამართვა მრავალმხრივ იყო გამართლებული. კახეთში ჭიდაობა არ უყვართო, ვინ იტყვის — სპორტის ეს სახეობა დიდი ხანია შეისისხლხორცეს იქაურებმა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ყვარლის სპორტდარბაზში შეკრებილ მაყურებელთა რიცხვიც — ამდენი გულშემატკივარი რესპუბლიკის ჩემპიონატს კი არა, ხშირად საერთაშორისო ტურნირებსაც არ ესწრება.

შარშანდელ საქართველოს ჩემპიონატზე პრიზიორებს გადაეცათ ფულადი პრიზები, შესაბამისად, 200, 150 და 100 მანეთის ოდენობით. მაშინ ყვარლელებმა თავიანთი ორი ჩემპიონი დამატებით 500-500 მანეთითაც დააჯილდოვეს. ჭიდაობის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ წლეულსაც დააწესა ფულადი პრიზები — 300, 200 და 100 მანეთის ოდენობით. თავი ჩემპიონატის სპონსორმა კომერციულმა ფირმამ „ვაზის ცრემლების“ (დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ კონჭოშვილი) ხელმძღვანელობამაც გამოიდო და ყველა პრიზიორს გამოუყო ფულადი ჯილდო, 200, 100 და 50 მანეთი.

როგორც ჩანს, დიდი იყო სურვილი საქართველოს ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარებისა და აკი შეძლეს კიდეც.

არ შეიძლება, ორიოდ სიტყვა არ ითქვას თამაზ კონჭოშვილის შესახებ. როგორც გვითხრეს, რაიონში მას ბევრი გაკვირვებით უყურებს — დირექტორი კაცია და რად უნდა ბავშვებს რომ დასდევსო. ბატონმა თამაზმა ამაზე გაიღიმა და გვიპასუხა — ქართული სპორტისთვის კიდევ ბევრის გაკეთებას ვაპირებთ. ჩვენი ფირმა არ შემოიფარგლება ამ ასპარეზობაზე ფულადი პრიზების დაწესებით. გადავწყვიტეთ, საკუთარი სახსრებით საჭიდაო დარბაზი ავაშენოთ ყვარელში. შეიძლება დახარჯული თანხებიდან კაპიკიც ვერ დავიბრუნოთ, მაგრამ კვლავაც გავირჯებით საიმისოდ, რაც ჩვენი რაიონის და რესპუბლიკის სპორტს წაადგება.

როგორც ვთქვით, ასპარეზობამ ბევრი დაკარგა იმით, რომ არ გამოსულან ჩვენი საუკეთესო მოჭიდავეები, მაგრამ მოასპარეზეთ თავი არ დაუზოგავთ, რათა მაყურებელს გული არ დაწყვეტოდა. თუმცა, სამწუხაროდ, არც ამ ჩემპიონატს ჩაუვლია მავნეთა თავშეუკავებლობის გარეშე. ხაშურელმა აკოფ აკოფოვმა, რომელიც 68 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, ორი გაფრთხილებით დაამთავრა შეხვედრა. მსაჯებმა უპირატესობა მის მოწინააღმდეგეს მიანიჭეს, განაწყენებულმა ა. აკოფოვმა კი უშვერი სიტყვებით „შეამკო“ გვერდითი მსაჯი. რა თქმა უნდა, ა. აკოფოვი მოიხსნა შეჯიბრებიდან. აქვე უნდა ითქვას არბიტრთა „დეფიციტზეც“. ხშირად მწვრთნელებსაც უხდებოდათ მსაჯობა, თავად არბიტრებს კი რამდენიმე ორთაბრძოლის მსაჯობა უწევდათ, რაც ღლიდა მათ და შეცდომებიც არ იყო გამორიცხული. ამასთან, ჭიდაობის რესპუბლიკური გაერთიანების თავისუფალი ჭიდაობის განყოფილების გამგემ ვაჟა იმერლიშვილმა მსაჯთა დაბალი კვალიფიკაციაც აღნიშნა.

ფინალური ორთაბრძოლები მართლაც საინტერესო გახლდათ. 48 კგ. წონით კატეგორიაში გარდაბნელი თამაზ ყულიაშვილი და საგარეჯოელი თეიმურაზ ასაბაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს. როგორც წინასწარი, ასევე ფინალური ორთაბრძოლაც კარგად ჩაატარა გარდაბნელმა მოჭიდავემ და პირველ ადგილზე გავიდა. 52 კგ კატეგორიაში სოხუმელმა ნუგზარ ჭკუასელმა დაამარცხა ქუთაისელი გოჩა კირკიტაძე. გორელი დავით პოლოსიანი (57) ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზეც მიუღწევია წარმატებებისთვის. იგი თავის „ტრადიციულ“ მეტოქეს — ბადრი ქარდავას შეერკინა და გაიმარჯვა კიდეც; 62 კგ. კატეგორიაში გამოცდილმა ყვარლელმა შამილ მაგომედოვმა სძლია ახალგაზრდა თბილისელს დავით ბელთაძეს. საინტერესო იყო ყვარლელ გიორგი ივანიშვილისა და ნინოწმინდელ რუბენ პოლოსიანის ორთაბრძოლა. პოლოსიანი თავიდანვე ეცადა ქულების მოპოვებას, მაგრამ უშედეგოდ, ივანიშვილმა კი მეტოქეს მოულოდნელად შეუტია და ორი ქულაც აართვა. მართალია, რ. პოლოსიანმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მეტს ვერას გახდა — ამასობაში გ. ივანიშვილმა ზედიზედ აართვა ქულები და გაიმარჯვა კიდეც.

შარშანდელი ჩემპიონატის 82 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმელი დავით ხურცია და გორელი ჯონდო მოდოსიანი. მაშინ ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დამატებით კიდევ 17 წუთი იჭიდავეს მეტოქეებმა და საბოლოოდ ხურციამ იმარჯვა. ახლაც შეხვედრამ დამატებით 25 წუთამდე გასტანა. ამჯერად გამარჯვების ქულა მოდოსიანმა მოიპოვა.

ფინალური ორთაბრძოლების დამთავრების შემდეგ დიდი სპორტიდან გააცილეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მალხაზ როზომაშვილი, რომელმაც მწვრთნელობა გადაწყვიტა.

**გია ბურდული,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**
**ყვარელი-თბილისი.**

### ტექნიკური შედეგები:

**48 კგ:** 1. თამაზ ყულიაშვილი (გარდაბანი), 2. თეიმურაზ ასაბაშვილი (საგარეჯო), 3. ელმან ნაგიევი (თბილისი). **52:** 1. ნუგზარ ჭკუასელი



(სოხუმი), 2. გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი), 3. ემზარ ბედინეიშვილი (თბილისი). **57:** 1. დავით პოლოსიანი (გორი), 2. ბადრი ქარდავა (სოხუმი). 3. კობა ნადირაძე (ქუთაისი). **62:** 1. შამილ მაგომედოვი (ყვარელი), 2. დავით ბელთაძე, 3. გივი სისაური, (ორივე — თბილისი). **68:** 1. როინ გვიიშვილი (ყვარელი), 2. ალმასხან ტლაშაძე (გორი), 3. გელა გელაშვილი (თელავი). **74:** 1. გიორგი ივანიშვილი (ყვარელი), 2. რუბენ პოლოსიანი (ნინოწმინდის რაიონი), 3. ხვიჩა საბაშვილი (გორი). **82:** 1. ჯონდო მოდოსიანი (გორი), 2. დავით ხურცია (სოხუმი), 3. დავით ზაბელაშვილი (თბილისი). **90:** 1. ავთანდილ მგელაძე (ქუთაისი), 2. ვახტანგ სულთანიშვილი (თბილისი), 3. აკაკი ჩხაიძე (ქუთაისი). **100.** 1. ზაზა ტყეშელაშვილი (ვანი), 2. რამაზ ბუზარიაშვილი (საგარეჯო), 3. ზურაბ ლოლაშვილი (რუსთავი).

**მძიმე:** 1. კობა ლოჩოშვილი (რუსთავი), 2. ლევან ებანოიძე (თბილისი), 3. ალექსანდრე გზირიშვილი (კასპი).

# ქართული ფეხბურთისაკენ მოილტვიან...

**რესპუბლიკის** ფარგლებს გარეთ ფეხბურთის ბევრ გულშემატკივარს ჰგონია, რომ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მხოლოდ ქართველი სპორტსმენები გამოდიან. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ჩემპიონატი „ჩაკეტილ“, სხვა მხრის ფეხბურთელთათვის უინტერესო შეჯიბრებად მიაჩნიათ. არადა, მოგეხსენებათ, ეს ასე არ არის.

წელს ოჩამჩირის „ამირანში“, გალის „მზიურში“, ხობის „კოლხეთში“, ხაშურის „ივერიასა“ და სხვა კლუბებშიც გამოდიან მოწვეული ფეხბურთელები. „ამირანში“ — ს. გომონოვი და ს. შიროკი, ხობის „კოლხეთში“ — ვ. პიმუშინი და ბ. სპირინი, გალის „მზიურში“ — პავლიჩუკი და ჩაიკა.

ამას წინათ, ჩვენ შევხვდით ოჩამჩირის „ამირანის“ ფეხბურთელს სერგეი გომონოვს, რომელსაც, უპირველესად „ლელოს“ მკითხველთან წარდგენა ვთხოვეთ.

— 30 წლისა ვარ, მინსკელი. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო ანატოლი პიგულოვსკი, ჯერ რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებში გამოვდიოდი, შემდეგ — მინსკის „დინამოში“. დავამთავრე ფიზკულტურის ინსტიტუტი.

● **რა გსმენოდათ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატზე?**

— მინსკში პრესის მეშვეობით შევიტყვე, რომ საქართველოს ჩემპიონატი საინტერესოდ მიმდინარეობდა, ვიცოდი, ვინ ლიდერობდა, ვინ იყო აუტსაიდერი. თავისთავად მომიმწიფდა აზრი, არ იქნებოდა ურიგო, მეთამაშა საქართველოში.

● **ოჩამჩირეში როგორ მოხვდით?**

— ოჩამჩირეში მიმიწვია ადიკ დურსუნიშმა, „ამირანის“ გუნდის უფროსმა. კლუბში კარგად მიმიღეს, აკლიმატიზაციამ ნორმალურად ჩაიარა.

● **თქვენ უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშეთ, რას იტყვით განვლილი შეხვედრების შესახებ?**

— გუნდები ფიზიკურად და, განსაკუთრებით, ტექნიკურად კარგად არიან მომზადებულნი, ტაქტიკის დასახვეწად კი ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ეს თითქმის ყველა გუნდს ეხება.

● **დიდი ხანი აპირებთ თამაშს ოჩამჩირეში?**

— ამას ცხოვრება გვაჩვენებს, ისე კი, თქვენთან, საქართველოში, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

• • •

„ცხუმი“ — „ამირანის“ მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ „ამირანის“ გუნდის მთავარ მწვრთნელს, მერაბ გოგოხიას და გუნდის უფროსს ადიკ დურსუნიშს.

მათგან შევიტყვეთ, რომ 24 წლის სერგეი შიროკი (იგი 1990 წლის სექტემბრიდანაა ოჩამჩირელთა რიგებში) იმდენადაა კმაყოფილი აქ თამაშით, მის მიმართ მოსახლეობისა და თანაგუნდელების დამოკიდებულებით, რომ გამოთქვა სურვილი საფეხბურთო კარიერის ბოლომდე (ჯერ 24 წლისაა) ითამაშოს ოჩამჩირეში.

**პუბლიკაცია მოამზადეს დაზმირ ბელენავამ და თენგიზ პაპაკორიამ.**

## ევროპის ჩემპიონატი

**გაიმართა** ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩები.

**I ჯგუფი.** ტირანაში, ალბანეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრაში უპირატესობა ჩეხოსლოვაკიელების მხარეზე იყო. მათ გაიმარჯვეს კიდეც ანგარიშით 2:0. სტუმრებმა ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-3 | 10 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| ესპანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 14-7 | 4 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 2 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0-19 | 0 |

**II ჯგუფი.** ბულგარეთისა და შვეიცარიის გუნდების მეტად დაძაბულ შეხვედრაში გაიმარჯვეს სტუმრებმა, შვეიცარიელებმა — 3:2. სან-მარინოს ფეხბურთელებმა საკუთარ მინდორზე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს შოტლანდიელებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 0:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 7 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-6 | 5 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-7 | 4 |
| სან-მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-15 | 0 |

**III ჯგუფი.** დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიისა და უნგრეთის გუნდების შეხვედრას. იტალიელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს მეტოქეს — 3:1. ნორვეგიისა და კვიპროსის ნაკრებთა შეხვედრაში უპირატესობა ნორვეგიელებს ეპყრათ — 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 2 | 2 | 0 | 8-2 | 6 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 6 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 5 |
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| კვიპროსი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-16 | 0 |

**IV ჯგუფი.** კვლავ განაცვიფრეს საფეხბურთო სამყარო ფარერის კუნძულების ფეხბურთელებმა, რომლებმაც სტუმრად, ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან შეხვედრაში ფრეს მიაღწიეს — 1:1. ლიდერმა — იუგოსლავიის ნაკრებმა შინ მარცხი იწვნია დანიის გუნდთან — 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 4 | 0 | 1 | 13-4 | 8 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 5 |
| ფარერ. კუნძ. | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 3 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 0 | 3 | 2 | 3-8 | 3 |
| ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

**V ჯგუფი.** გერმანიის ნაკრებმა თავის მინდორზე მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო ბელგიელთა დამარცხება — 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 5 |
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 4 |
| ბელგია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |

**VII ჯგუფი.** თურქეთის ფეხბურთელებმა უმასპინძლეს ინგლისის ნაკრებს და დამარცხდნენ — 0:1. ირლანდიისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-2 | 6 |
| ირლანდია | 4 | 1 | 3 | 0 | 7-2 | 5 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 5 |
| თურქეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0-10 | 0 |

## ევროპა. ქალები

**ციურიხში** გაიმართა ფეხბურთში ქალთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა. მეტოქეები ასე განაწილდნენ:

**I ჯგუფი.** ნორვეგია, ბელგია, შვეიცარია

**II ჯგუფი.** დანია, ფინეთი, საფრანგეთი

**III ჯგუფი.** ინგლისი, ისლანდია. შოტლანდია

**IV ჯგუფი.** შვეცია, ესპანეთი, ჩრ. ირლანდია

**V ჯგუფი.** ჰოლანდია, საბერძნეთი, რუმინეთი

**VI ჯგუფი.** იუგოსლავია, გერმანია

**VII ჯგუფი.** იტალია, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი

**VIII ჯგუფი.** უნგრეთი, ბულგარეთი, საბჭოთა კავშირი

23 გუნდს შორის გაიმართება შესარჩევი შეხვედრები, სადაც გამოვლინდება 8 გამარჯვებული. მეოთხედფინალურ წყვილებში მეტოქეები შინ და სტუმრად ერთმანეთს შეხვდებიან 1992 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. 4 საუკეთესო გუნდის ფინალური ტურნირი 1993 წლის პირველ ნახევარში გაიმართება ერთ-ერთ იმ ქვეყანაში, რომლის გუნდიც ნახევარფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**კარატე. ცენტრ-კლუბ „ბუდო-კანის“ პირველობა კარატე-დო ხიტო-კაიში 11-12 და 13-14 წლის ჭაბუკთა შორის, 150 მონაწილე. თბილისი.**

**პირადი პირველობა. 11-12 წლისნები. 30 კგ:** 1. ლ. ლემონჯავა, 2. მ. ბაჩანიკოვი (ორივე— „ბუდო-კანი“), 3. ბ. ნოზაძე (კლუბი „ლელო“). **40:** 1. დ. ზაქაიძე (კლუბი „დილომი“), 2. გ. ტეფნაძე, 3. ნ. პოლიტოვი (ორივე — „ბუდო-კანი“). **50:** 1. დ. კოდუა („ბუდო-კანი“), 2. გ. პროკოფიევი („ლელო“), 3. ლ. ბეგლიანცი („ბუდო-კანი“). **50 კგ ზევით.** 1. გ. სონღულაშვილი (კლუბი „ნაციონალი“), 2. მ. ფეიქრიშვილი, 3. კ. დობორჯგინიძე (ორივე — „ბუდო-კანი“). **13-14 წლისნები 40 კგ:** 1. შ. ჯოჯუა, 2. თ. თეთრაძე, 3. მ. შახბაზიანი (სამივე — „ბუდო-კანი“), **50:** 1. ა. ტერეშენკო, 2. თ. ყაჯრიშვილი, 3. თ. თელაროვი (სამივე — „ბუდო-კანი“). **60:** 1. ზ. ლაზუაშვილი, 2. ლ. ლაფენაშვილი, 3. ა. აქსიომოვი (სამივე — „ბუდო-კანი“). **60 კგ. ზევით:** 1. ა. გიქორაშვილი, 2. დ. ქოიავა, 3. დ. უზნაძე (სამივე — „ბუდო-კანი“).

**გუნდური პირველობა. 11-12 წლისნები:** 1. კლუბი „ბუდო-კანი“ (დ. კოდუა, ლ. ლემონჯავა, მ. დობორჯგინიძე; მ. ხეჩუაშვილი, ინსტრუქტორი ჯ. კოდუა). 2. კლუბი „კავკასიონი“ (ვ. ლორთქიფანიძე, კ. გიორგაძე, გ. ლურსმანაშვილი, ზ. ჩაჩუა). 3. კლუბი „ლელო“ (გ. პროკოფიევი, ა. არუთინიანი, ვ. რიკოვი, თ. სანაკოევი). **13-14 წლისნები:** 1. კლუბი „ბუდო-კანი“ ინსტრუქტორ ჯ. კოდუას ჯგუფი (გ. ჯავახიშვილი, პ. ჯიხვაშვილი, მ. წიკლაური, ა. გიქორაშვილი), 2. კლუბი „ბუდო-კანი“ ინსტრუქტორ ი. დუბროვინის ჯგუფი (მ. ალავიძე, გ. ბირკაძე, რ. მოსიენკო, ა. მელიკიანი), 3. კლუბი „დილომი“ (რ. ჯაბაური, თ. წიკლაური, ვ. სვიანიძე, მ. ხომასურიძე).

• • •

**ძიუდო. რესპუბლიკური პირველობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პრიზზე. მონაწილეობდნენ ამავე ინსტიტუტის, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების, ქუთაისის პოლიტექნიკური და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები.**

**60 კგ.** 1. გ. პაპინაშვილი, (ფიზკულტურის ინსტიტუტი), 2. მ. შაკაკიშვილი 3. თ. ნადარაძე (ორივე—პოლიტექნიკური უნივერსიტეტი); **65:** მ. კურდღელაშვილი, 2. თ. კვანჭიანი, 3. გ. იოსელიანი (სამივე—ფიზკულტურის ინსტიტუტი); **71:** გ. ხაბულიანი, 2. ზ. ლაბაძე (ორივე—ფიზკულტურის ინსტიტუტი), 3. დ. მოდებაძე (ტექნიკური უნივერსიტეტი): **78:** 1. ს. ლიპარტელიანი (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2. რ. გოგლიჩიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), 3. გ. შარიშვილი (თელავის ინსტიტუტი); **86:** 1. ზ. ილიაევი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), 2. ჯ. გარაშვილი (თელავის ინსტიტუტი). 3. ლ. გელაშვილი (ტექნიკური უნივერსიტეტი); **95:** გ. თედორაშვილი, 2. გ. გვარლიანი (ორივე—თელავის ინსტიტუტი), 3. ზ. გაფრინდაშვილი (ტექნიკური უნივერსიტეტი); **პლუს 95:** 1. ზ. ჩაკვეტაძე (ტექნიკური უნივერსიტეტი), 2. გ. კაკელიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), 3. მ. ფიცხელაური (ტექნიკური უნივერსიტეტი).

შეჯიბრების ორგანიზატორია სტუდენტთა სპორტული კლუბების ეროვნული ასოციაცია.

## იაპონელთა გეგმები

იაპონიის ფეხბურთის ფედერაციას განზრახული აქვს უმასპინძლოს 2002 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს. იაპონელებს დიდი იმედი აქვთ, რომ მიიღებენ ამ ჩემპიონატის ორგანიზატორობის უფლებას.

როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია იუწყება ციურიხიდან, მან უკვე მიიღო წინადადებათა ოფიციალური პაკეტი ტოკიოდან. 4 ივლისისთვის ტოკიოში დანიშნულია ამ პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია, იაპონელები ამთავითვე იწყებენ აქტიურ მზადებას.

## ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

(დასასრული)

რესო შეწირვა განახორციელა კახიანთან. ახლა მას ლაზიერის ფრთაზე გამსვლელი პაიკის შექმნის იმედი ჰქონდა. კახიანი ზუსტად და ყურადღებით იცავდა თავს. ორმხრივ ცაიტნოტში დიდოსტატ ქალს უკანასკნელ საკონტროლო სვლაზე მხედველობიდან გამორჩა ტაქტიკური დარტყმა, რომელიც მას უდავო უპირატესობას აძლევდა. გადადებული პოზიცია საკმარისად მწვავეა.

ახლა იმ ორი შეხვედრის შესახებ, ქალებისა და ვაჟების „მატჩში" რომ არ შედიოდნენ. გიორგაძე-ჯანჯღავას პარტია დებიუტიდან გამოსვლისთანავე სწრაფად დამთავრდა ყაიმით, ხოლო იოსელიანმა მატერიალური უპირატესობით (კუ ორი პაიკის წინააღმდეგ) გადადო შეხვედრა გურიელთან.

## ამჯერად ვაჟების უპირატესობით

**მეორე ტური.** გაფრინდაშვილ- არახამიას, ზაიჩიკ-გიორგაძის პარტიები გადაიდო. ჯანჯღავა-ჩიბურდანიძე 1:0. ეფიმოვი-გურიელი 1:0, სტურუა-კახიანი 1:0, იოსელიანი — გურგენიძე 0,5:0,5.

ამჯერად კვლავ შედგა „მატჩი" (ისევ 4 დაფაზე!) ქალებსა და ვაჟებს შორის. იგი სულ სხვანაირად წარიმართა — ვაჟებმა მეტად სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს.

დიდ მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს მსოფლიო ჩემპიონ ჩიბურდანიძის პასიური თამაში. ძველინდურ დაცვაში შავებით მან უპერსპექტივო პოზიცია მიიღო ჯანჯღავასთან, რომელიც ამ დღეს 21 წლისა გახდა. თეთრების შეტევა ლაზიერის ფრთაზე დაუბრკოლებლად განვითარდა, მაშინ, როდესაც ბრძოლის საპირისპირო უბანზე ჩემპიონმა ვერავითარი ინიციატივა ვერ მიიღო. მას შემდეგ, რაც ლაზიერის ფრთის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, ჩიბურდანიძე დანებდა. გურიელმა ასევე შავებით მძიმე პოზიცია მიიღო ეფიმოვთან, რომელმაც მოწინააღმდეგის დაუცველი მეფის წინააღმდეგ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე თავი მოუყარა „არტილერიას" და, გნებავთ, „კავალერიასაც". დანარჩენი გასაგები იყო. კახიანმა ფიგურა დაჰკარგა პაიკში სტურუასთან და შემდგომი შეუპოვარი წინააღმდეგობის მიუხედავად დამარცხდა. იოსელიანმა პოზიციური უპირატესობა მიიღო გურგენიძესთან, რომელიც იძულებული გახდა მთელი პარტიის მანძილზე ცენტრალურ პაიკზე ეზრუნა. გურგენიძემ თანდათანობით თავი დააღწია სიძნელეებს, გაათანაბრა თამაში და მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

გაფრინდაშვილ-არახამიას შეხვედრაში უპირატესობა დიდხანს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მხარეზე იყო, მაგრამ ახალგაზრდა დიდოსტატი შესაშური შეუპოვრობით იცავდა თავს. მეტოქის ცაიტნოტში, როგორც ეს ხშირად ხდება, გაფრინდაშვილმა უზუსტოდ ითამაშა და მდგომარეობა დაფაზე მკვეთრად შეიცვალა. ახლა გადადებულ პარტიაში არახამიას მატერიალური უპირატესობა აქვს. ზედმეტი ხარისხით გადადო პარტია ზაიჩიკმა გიორგაძესთან, რომელიც მწვავე პოზიციაში უხეშად შეცდა.

ერთი სიტყვით, ტურნირის სტარტი მეტად საინტერესო აღმოჩნდა. პირველმა ორმა ტურმა გარკვეული სიურპრიზებიც მოგვიტანა და, ეტყობა, ისინი შემდეგშიც საკმაოდ იქნება.

ორი ტურის შემდეგ 1,5:1,5 ქულით გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ დიდოსტატი ლაშა ჯანჯღავა და საერთაშორისო ოსტატი იგორ ეფიმოვი.

**ბიჭი ბამრეკელი**

# რა ისმის უცხოეთიდან?

## კალათბურთი

### მეოთხედფინალური სერიების შემდეგ

**დამთავრდა ნბა-ს ჩემპიონატის კიდევ ერთი ეტაპი — მერვედფინალური მატჩები „პლეი-ოფის" სისტემით. გთავაზობთ ბოლო შეხვედრათა შედეგებს.**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**„ჩიკაგო ბულსი" — „ნიუ-იორკ ნიკსი" 3 : 0.**

აქ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა. ჩიკაგოს კალათბურთელებმა სამივე შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონატის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს: 126:85, 89:79, 103:94.

**„ბოსტონ სელტიკსი" — „ინდიანა პეისერსი" 3:2.**

უძლიერესის გამოსავლენად ხუთივე შეხვედრის გამართვა გახდა საჭირო. „ბოსტონმა" სამი შეხვედრა მოიგო შინ: 127:120, 112:105 და 124:121, „ინდიანამ" — ორი 130 : 118, 116 : 113.

**„დეტროიტ პისტონსი" — „ატლანტა ჰოუკსი" 3 : 2.**

ნბა-ს შარშანდელმა ჩემპიონმა „დეტროიტმა" რის ვაი-ვაგლახით გაიკაფა გზა მეოთხედფინალებში. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქაც შინ მოპოვებულ გამარჯვებებს ჰქონდა: 101:88, 103:91, 113:81. „ატლანტამ" ასევე თავის მოედანზე ორი შეხვედრა მოიგო 103:98 და 123:111.

**„ფილადელფია"-76" — „მილუოკი ბაქსი" 3 : 0.**

კიდევ ერთი, ვადამდე დამთავრებული სერია, რომელშიც გამარჯვებულის უპირატესობა აშკარა იყო, თუმცა ეს ანგარიშებს მაინც და მაინც არ დასტყობია (95:90, 116:112, 121:100), მხედველობაში თუ არ მივიღებთ მესამე მატჩს.

**დასავლეთის კონფერენცია**

**„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" — „სიეტლ სუპერსონიკი" 3:2.**

ნბა-ს ჩემპიონატის პირველი ეტაპი „პორტლენდმა", ფაქტობრივად, ყველა გუნდზე უკეთ ჩაატარა, აი, სერიებში კი მას შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია „სიეტლმა". ამ ორთაბრძოლის ბედი გადაწყვიტა 4 მაისის მატჩმა, რომელიც „პორტლენდმა" მოიგო 119:107. წინა ოთხ შეხვედრაში მეტოქეებმა, რომ იტყვიან, ქულები გაიყვეს — ორჯერ წარმატება „პორტლენდის" მხარეს იყო (110:102, 115:106), ორჯერ — „სიეტლისა" (102:99, 101:89).

**„გოლდენ სტეიტ უორიორსი" — „სან ანტონიო სპურსი" 3:1.**

„გოლდენ სტეიტის" გასვლა მომდევნო ტურში, ან უფრო სწორად, „სან-ანტონიოს" მარცხი, ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი სიურპრიზი გახლავთ. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ „სან-ანტონიომ" პირველი ადგილი დაიკავა შუადასავლეთის დივიზიონში, „გოლდენ სტეიტმა" კი მხოლოდ მეოთხე წყნარი ოკეანის ჯგუფში. „სან ანტონიო" ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ მეხუთე იყო (ნბა-ს 27 კოლექტივში), „გოლდენ სტეიტი" კი მეთორმეტე. ერთი სიტყვით, „სან ანტონიო" უდავო ფავორიტი იყო, ასე რომ, მისი მეტოქის გამარჯვება მოულოდნელად უნდა მივიჩნიოთ. „გოლდენ სტეიტმა" მოიგო სამი შეხვედრა (111:98, 109:106 და 110:97), „სან ანტონიომ" კი მხოლოდ ერთი (130:121).

**„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „ჰიუსტონ როკეტსი" 3:0.**

„ლეიკერსმა", როგორც იტყვიან, მეტოქეს წარმატების შანსი არ დაუტოვა და სამივე ბრძოლა მოუგო, თუმცა შესამჩნევი უპირატესობა არც ერთ შეხვედრაში არ ჰქონია — 94:92, 109:98, 94:90.

**„იუტა ჯაზი" — „ფენიქს სანი" 3:1.**

ამ ორთაბრძოლის ბედი 2 მაისს გადაწყდა, როცა „იუტა ჯაზმა" მესამედ გაიმარჯვა. „იუტამ" სამი მატჩი მოიგო (129:90, 107:98 და 101:93), „ფენიქსმა" კი მხოლოდ ერთი (102:92).

ამრიგად, მეოთხედფინალურ სერიებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: აღმოსავლეთ კონფერენციიდან — „ჩიკაგომ", „ბოსტონმა", „დეტროიტმა" და „ფილადელფიამ", დასავლეთის კონფერენციიდან კი „პორტლენდმა", „გოლდენ სტეიტმა", „ლოს-ანჯელესმა" და „იუტა ჯაზმა".

გაიმართა პირველი მეოთხედფინალური მატჩები. „ჩიკაგო ბულსმა" დაამარცხა „ფილადელფია-76" 105:92, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" კი „გოლდენ სტეიტი" 126:116. გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ „ბოსტონ"—„დეტროიტი" და „პორტლენდ" — „იუტა ჯაზი". ამ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს შვიდ-შვიდჯერ შეხვდებიან. „პლეი-ოფის" მეოთხედფინალური სერიები 18 მაისს დამთავრდება.

## გაიმართა იტალიის ფეხბურთელთა ჩემპიონატის მორიგი მატჩები

31-ე ტურში ლიდერმა — „სამპდორიამ" კიდევ ერთი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, თანაც გასვლით მატჩში თავის უშუალო მეტოქესთან „ინტერნაციონალესთან" 2:0. სტუმრად დიდი ანგარიშით მოიგო შეხვედრა „მილანმაც". ამჯერად, მან „იუვენტუსი" დაამარცხა 3:0.

ამ ტურში ოთხი მატჩი დამთავრდა ფრედ, სამში კი წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს:

გთავაზობთ 31-ე ტურის სხვა მატჩებს:

„ბარი" — „ლეჩე" 1:1.

„ბოლონია" — „ფიორენტინა" 1:1.

„ჯენოვა" — „კალიარი" 2:2

„ნაპოლი" — „ჩეზენა" 1:0

„პარმა" — „ტორინო" 0:0

„პიზა" — „ლაციო" 0:1

„რომა" — „ატალანტა" 2:1.

**გათამაშების ცხრილი:**

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სამპდორია" | 19 | 9 | 3 | 47 |
| „მილანი" | 17 | 9 | 5 | 43 |
| „ინტერი" | 16 | 10 | 5 | 42 |
| „ტორინო" | 12 | 11 | 8 | 35 |
| „ჯენოვა" | 12 | 11 | 8 | 35 |
| „პარმა" | 12 | 11 | 8 | 35 |
| „იუვენტუსი" | 12 | 10 | 9 | 34 |
| „ნაპოლი" | 10 | 13 | 8 | 33 |
| „ლაციო" | 7 | 18 | 6 | 32 |
| „რომა" | 10 | 12 | 9 | 32 |
| „ატალანტა" | 10 | 11 | 10 | 31 |
| „ფიორენტინა" | 7 | 14 | 10 | 28 |
| „ბარი" | 8 | 10 | 13 | 26 |
| „კალიარი" | 5 | 15 | 11 | 25 |
| „ლეჩე" | 5 | 13 | 13 | 23 |
| „პიზა" | 7 | 6 | 18 | 20 |
| „ჩეზენა" | 5 | 9 | 17 | 19 |
| „ბოლონია" | 4 | 10 | 17 | 18 |

## საბჭოთა ჰოკეი, დასასრულის დასაწყისი?

**ფინეთში** დამთავრდა ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ადგილების განაწილებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ბოლო ტურის მატჩებმა, რომლებშიც შვეციის ნაკრებმა დაამარცხა სსრკ-ის გუნდი 2:1 (1:1, 0:0, 1:0), კანადელებმა კი ამერიკელებს მოუგეს — 9:4 (2:1, 4:2, 3:1).

გთავაზობთ ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს იმ გუნდებისათვის, რომლებიც I-IV ადგილებისთვის იბრძოდნენ:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 2 | 1 | 0 | 13-8 | 5 |
| კანადა | 1 | 2 | 0 | 15-10 | 4 |
| სსრკ | 1 | 1 | 1 | 10-9 | 3 |
| აშშ | 0 | 0 | 3 | 12-23 | 0 |

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 5. ფინეთი, 6. ჩეხოსლოვაკია, 7. შვეცია, 8. გერმანია.

ჩემპიონატზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა დაასახელეს „ვარსკვლავთა" ორი ნაკრები, რომლებშიც მოხვდნენ — პირველი გუნდი: მეკარე — სენ ბურკი (კანადა), მცველები — ალექსეი კასატონოვი, ვიაჩესლავ ფეტისოვი, თავდამსხმელები — იარი კური (ფინეთი), თომას რუნდკვისტი (შვეცია), ვალერი კამენსკი (სსრკ). მეორე გუნდი: მარკუს კეტერერი (ფინეთი), დიმიტრი მირონოვი (სსრკ), ჯეიმს მაკფუნი (კანადა), პაველ ბურე (სსრკ), ტეორენ ფლერი (კანადა), მათს სუნდინი (შვეცია).

## სამყარო მეკარის თვალით

**როგორ** უყურებს სხვადასხვა საფეხბურთო თუ სრულიად არასაფეხბურთო საკითხს ჰოლანდიის ნაკრების მეკარე?

სახელი და გვარი: იოჰანეს ფრანცისკუს ვან ბრეკელენი.

დაბადების თარიღი: 1956 წლის 4 სექტემბერი, ქ. უტრეხტი.

კლუბი: პსვ „ეინდჰოვენი".

განათლება: საშუალო პედაგოგიური სკოლა.

ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე კარენა და შვილები: ლარსი, კლეიდი და სვენია.

მის სახლში ნახავთ ძაღლს, ცხენს, ბატებს, ქათმებს, მამალს. ქათმებსა და მამალს იმ სპორტული ჟურნალისტების სახელები ჰქვია, რომლებიც ვან ბრეკელენს ეჯავრება.

კლუბები, რომლებიც ეპატიჟებიან: პირველ რიგში, „ფკ უტრეჰტი" და ინგლისური „ნოტინგემ ფორესტი".

საუკეთესო მეგობრები: ცოლი და შვილები.

ალკოჰოლი: არ ეტანება, ცოტაოდენი კონიაკი ან ჭიქა ღვინო.

ყველაზე კარგი მწვრთნელი: მიხელსი და ჰიდინკი.

ყველაზე ცუდი მწვრთნელი: დასახელებისგან თავს იკავებს.

საფეხბურთო კერპი: რუუდ გულიტი.

ყველაზე დიდი ცხოვრებისეული „აღმოჩენა": მეუღლე კარენა და მეგობარი ტედ ტროისტი.

საუკეთესო ფილმი: მილოშ ფორმანის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა".

ვისი საქმიანობა განაცვიფრებს: „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელ ბრაიან კლუგისა, რომელიც მრავალი წელია ბრწყინვალე შედეგებს აღწევს ამ კლუბში.

საუკეთესო მანქანა: მერსედეს ბენცი 250.

იდეალური ბუნებრივი პირობები: მზე, ზღვა და სიწყნარე.

ყველაზე კარგი სტადიონი: ბარსელონის „ნოუ კამპი".

ყველაზე ცუდი სტადიონი: ჰოლანდიის კლუბ „ჰაარლემის".

ის ფეხბურთელი, რომელსაც ჯეროვნად არ აფასებენ: ჰოლანდიელი ადიკ კოოტი, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია.

ფეხბურთელი, რომლის შესაძლებლობებსაც აშკარად ზედმეტად აფასებენ: ინგლისელი ბრაიან რობსონი.

ყველაზე კარგი მსაჯი: ინგლისელი თომასი.

ყველაზე ცუდი მსაჯი: ფრანგი მიშელ ვოტრო. მის მიერ დანიშნული პენალტი ევროპის პირველობაზე კიდევ დიდხანს ემახსოვრება.

ყველაზე ძალიან რა სძულს ფეხბურთში: ვაიგულშემატკივართა ვანდალიზმი.

ყველაზე მეტად ვინ უყვარს: საკუთარი ცოლი.

მორწმუნეა: დიახ.

რას ისურვებდა: იყოს ბედნიერი და ჯანმრთელი.

ვინ მიაჩნია მსოფლიო კლასის ფეხბურთელებად ჰოლანდიაში მოთამაშეთაგან. ბრაზილიელი რომარიო და ჰოლანდიის ნაკრების წევრი ვანენბურგი.

საზღვარგარეთ მოთამაშეთაგან საუკეთესონი: გულიტი და ვან ბასტენი.

## დევისის თასის მატჩები

**ნიმი** (საფრანგეთი). დევისის თასის ერთ-ერთ მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფრანგი და ავსტრიელი ჩოგბურთელები. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 3:2. გადამწყვეტი ქულა საფრანგეთის ნაკრებს შესძინა 18 წლის ფაბრის სანტორომ, რომელმაც გამოცდილი ავსტრალიელი უალი მაზური დაამარცხა — 6:3, 6:4, 4:6, 6:1.

გათამაშების ნახევარფინალში საფრანგეთის ჩოგბურთელთა მეტოქე იუგოსლავიის გუნდი იქნება.

**დავოსი.** შვეიცარიის ამ საკურორტო ქალაქში დევისის თასის ევრო-აფრიკის ზონის მეორე წრეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ადგილობრივი და საბჭოთა ჩოგბურთელები. პირველი დღის შემდეგ ანგარიში იყო. 3:0 შვეიცარიელთა სასარგებლოდ, რაც ფაქტობრივად, მატჩის მოგებას ნიშნავდა, ამიტომ, ბოლო დღეს ანდრეი ჩესნოკოვისა და ანდრეი ჩერკასოვის გამარჯვებებს მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა. სსრკ-ის ნაკრები დამარცხდა ანგარიშით — 2:3 და გამოეთიშა ასპარეზობას.

**რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

## საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია (სნეფ) აცხადებს

მაისში დაგეგმილი ყველა კალენდარული ტურნირი გადატანილია, ჩატარდება მხოლოდ თბილისის ლია პირველობა (9-12 მაისი).

ამ შეჯიბრებაში შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში. ამის გარდა სნეფი დაზარალებულ რაიონებში აგზავნის პროდუქტებს და სხვა პირველი მოხმარების საგნებს.

**„ლელოს"** რედაქცია, საქართველოს ნარდის ფედერაციის განცხადებასთან დაკავშირებით, წყვეტს განაცხადების მიღებას იმ მანდილოსნებისგან, რომლებმაც დიდი სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ ხანდაზმულ ქალთათვის გათვალისწინებულ ასპარეზობაში. ამ საკითხს ალბათ მოგვიანებით დავუბრუნდებით.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორები: მ. ძებამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380099, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20